შემოქმედებითი კლასტერების აღიანსის პორტფოლიო

ბროშურა მომზადებულია
შემოქმედებითი საქართველოს მიერ, ბრიტანეთის
საბჭოს ფინანსური მხარდაჭერით

შემოქმედებითი
საქართველო
CREATIVE GEORGIA

BRITISH COUNCIL

თბილისი, საქართველო, 2023

ბროშურა მომზადებულია შემოქმედებითი საქართველოს პროექტის: „შემოქმედებითი კლასტერების განვითარების მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში.

პროექტი განხორციელდა ბრიტანეთის საბჭოს ფინანსური მხარდაჭერით.

ბროშურის მიზანია შემოქმედებითი კლასტერების ალიანსის წევრი ორგანიზაციების შესახებ საზოგადოებისთვის მოკლე ინფორმაციის მიწოდება.

სარჩევი

შემოქმედებითი კლასტერების ალიანსის შესახებ----------5

ინფორმაცია შემოქმედებითი კლასტერების ალიანსში შემავალი ორგანიზაციების შესახებ----------6

სტატისტიკური ინფორმაცია----------6

CES-შემოქმედებითი განათლების სტუდია----------8

გორელ ფოწოგრაფთა კლუბი ----------10

ბიბლიოთეკა საქართველოზე----------13

ბრავო არტ აკადემია----------16

უდაბნო----------17

Propaganda----------19

თანამედროვე ხელოვნების ცენტრი-თბილისი----------22

FabrikaTbilisi----------24

DBlock----------26

ლია სივრცე | ვიზუალური და საშემსრულებლო ხელოვნების ცენტრი---------- 27

კუბი კონტექსტში----------29

თბილისის არქიტექტურის ბიენალე----------31

ცოდნის კაფე---------- 34

პორტფოლიო შეიქმნა პროექტის - „შემოქმედებითი კლასტერების განვითარების მხარდაჭერა საქართველოში“, ფარგლებში, რომლის ძირითადი ამოცანაა შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორის გაძლიერების მხარდაჭერა. აღნიშნულის შესასრულებლად პროექტი მუშაობდა შემოქმედებითი ეკონომიკისა და შემოქმედებითი კლასტერების განვითარების საკითხებზე პოლიტიკის შემქმნელების ცნობიერების გაზრდასა და შემოქმედებითი კლასტერების და გაერთიანებების განვითარების ხელშეწყობაზე. პროექტი მოიცავდა შემოქმედებითი კლასტერების ალიანსის ინიციატორთათვის კონსულტაციის გაწევას, მათი უნარ-ჩვევების გაძლიერებას, ალიანსის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შექმნას.

პორტფოლიო, ასევე, ეფუძნება შემოქმედებითი საქართველოს პროექტის ფარგლებში შექმნილ დოკუმენტს - „შემოქმედებითი კლასტერების ეკოსისტემის განვითარება საქართველოში“, რომელიც განხორციელდა ევროკავშირის/იუნესკოს ფინანსური მხარდაჭერით.

შემოქმედებითი კლასტერების ალიანსის შესახებ

შემოქმედებითი კლასტერების ალიანსის შექმნის იდეა გაჩნდა 2022 წელს, იუნესკოს და ევროკავშირის მხარდაჭერით, შემოქმედებითი საქართველოს მიერ ორგანიზებულ სემინარზე, რომელიც მიზნად ისახავდა შემოქმედებითი კლასტერების განვითარებას საქართველოში, და რომელშიც მონაწილეობას იღებდა საჯარო, კერძო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სხვადასხვა წარმომადგენელი. მოცემული ინიციატივა გაგრძელდა ალიანსის ინიციატორ 11 ორგანიზაციას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებით, რომელსაც ხელი 2022 წლის 21 ივნისს მოეწერა. მემორანდუმი მიზნად ისახავს, მხარეთა ერთობლივი ინტერესების საფუძველზე, ურთიერთთანამშრომლობის გზით, საქართველოში „შემოქმედებითი კლასტერების“ ინიცირების, გაძლიერების და თვითკმარობის ხელშეწყობას. მემორანდუმი ითვალისწინებს მხარეთა თანამშრომლობასა და ურთიერთმხარდაჭერას შემდეგი მიმართულებებით:

- საქართველოში შემოქმედებითი კლასტერების საჭიროებების ადვოკატირებისა და ურთიერთგაძლიერებისთვის, „შემოქმედებითი კლასტერების ალიანსის“ და ეროვნული ქსელის შექმნა.
- “შემოქმედებითი კლასტერების ალიანსის“ და ეროვნული ქსელის წევრების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობისთვის, ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული საერთაშორისო კამპანიების განხორციელება და საერთაშორისო პროექტებში ჩართულობა.
- შემოქმედებითი კლასტერების განვითარებაზე მიმართული საჯარო-კერძო პარტნიორობის პრაქტიკის დანერგვის ადვოკატირება.
- შემოქმედებითი კლასტერების დემოკრატიული და წარმატებულ საერთაშორისო გამოცდილებაზე დაფუძნებული მმართველობის და ბიზნეს მოდელების დანერგვის ადვოკატირება.

შემოქმედებითი კლასტერების ალიანსის ინიციატივის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისთვის, 2023 წელს, ბრიტანეთის საბჭოს მხარდაჭერით დაიწყო პროექტი - „შემოქმედებითი კლასტერების განვითარების მხარდაჭერა საქართველოში“. პროექტის ფარგლებში, 2023 წლის 7-9 მარტს, შემოქმედებითი საქართველოს ორგანიზებით გაიმართა ვორკშოპი შემოქმედებითი კლასტერების ალიანსის ინიციატორი ორგანიზაციებისთვის, რომელსაც უძღვებოდნენ ბრიტანელი ექსპერტები: გეილ ქეიგი და რებეკა შუსმითი. ვორკშოპზე განისაზღვრა ალიანსის ხედვა, მისია, მიზნები და ძირითადი ღირებულებები, რაც საფუძვლად დაედება ალიანსის წესდებას.

ინფორმაცია შემოქმედებითი კლასტერების ალიანსში შემავალი ორგანიზაციების შესახებ

შემოქმედებითი კლასტერების ალიანსის წევრები

1. CES-შემოქმედებითი განათლების სტუდია და რეკორდსი
2. გორელ ფოტოგრაფთა კლუბი
3. ბიბლიოთეკა საქართველოზე
4. ბრავო არტ აკადემია
5. უდაბნო
6. Propaganda
7. თანამედროვე ხელოვნების ცენტრი-თბილისი (CCA-Tbilisi)
8. Fabrika Tbilisi
9. D Block
10. ღია სივრცე | ვიზუალური და საშემსრულებლო ხელოვნების ცენტრი
11. კუბი კონტექსტში
12. თბილისის არქიტექტურის ბიენალე
13. ცოდნის კაფე

სტატისტიკური ინფორმაცია

საკარმიდამო ფორმა

ალიანსის წევრი 13 ორგანიზაციიდან

არასამეწარმეო იურიდიული პირი	61.1 %
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება	31.1 %
სააქციო საზოგადოება	7.8 %

გეოგრაფია – ალიანსის წევრი 13 ორგანიზაციიდან 10 თბილისშია დაფუძნებული, 1 კახეთში, 1 ქვემო ქართლში და 1 შიდა ქართლში



ბრუნვა

ალიანსის წევრი 13 ორგანიზაციიდან

0 - 50,000	33.3 %
50,000 - 100,000	44.4 %
250, 000 - 500, 000	22.2 %

დასაქმება

ალიანსის წევრი 13 ორგანიზაციიდან

მუდმივად ასაქმებს 5-მდე ადამიანს	36.0 %
მუდმივად ასაქმებს 6-დან 16-მდე ადამიანს	46.0 %
მუდმივად ასაქმებს 150 ადამიანს	9.0 %
მუდმივად ასაქმებს 500-ზე მეტ ადამიანს	9.0 %

ჯამურად, ალიანსის წევრი ორგანიზაციებში მუდმივად დასაქმებულია **700-ზე მეტი ადამიანი.**

დროებით დასაქმებულთა მაჩვენებელი

ალიანსის წევრი 13 ორგანიზაციდან

დროებით ასაქმებს 5-მდე ადამიანს	27.0 %
დროებით ასაქმებს 6-დან 22-მდე ადამიანს	46.0 %
დროებით ასაქმებს 30 ადამიანს	18.0 %
დროებით ასაქმებს 600- დან 700-მდე ადამიანს	9.0 %

ჯამურად, ალიანსის წევრი ორგანიზაციები წელიწადში დროებით პოზიციებზე ასაქმებენ **800-ზე მეტ ადამიანს.**

სექტორები

ალიანსის წევრი ორგანიზაციების საქმიანობა პროცენტულად შემდეგ სექტორებს მოიცავს

სახელოვნებო და კულტურის განათლება	22%
სახვითი და საშემსრულებლო ხელოვნება	15%
კინო და ვიდეო	10%
კულტურული მემკვიდრეობის სექტორი	9 %
მუსიკის სექტორი	8%
ციფრული ტექნოლოგიების ინდუსტრია	7 %
გასტრონომია და კულინარიული ინდუსტრია	7%
არქიტექტურის სექტორი	7%
ლიტერატურისა და საგამომცემლო სექტორი	5 %
მედია და მაუწყებლობის სექტორი	3%
რეწვის სექტორი	2%
დიზაინისა და მოდის ინდუსტრია	2%
რეკლამის სექტორი	2%



2022 წლის მანძილზე გამართული აქტივობების რაოდენობა

ალიანსის წევრი 13 ორგანიზაციის მიერ 2022 წელს გამართული აქტივობების **ჯამური რაოდენობაა 278**.

ვორკშოპები	78
სპექტაკლები	50
კინოჩვენება	47
მუსიკალური გამოცემა	19
მუსიკალური შეკრება	20
გამოფენა	20
ლექციები	17
მასტერკლასი	10
კონცერტი	5
ტრენინგი	5
კონფერენცია	7

1. CES - შემოქმედებითი განათლების სტუდია

ორგანიზაციის დასახელება - შემოქმედებითი განათლების სტუდია და რეკორდსი / Creative Education Studio and CES Records

ორგანიზაციის იურიდიული ფორმა - შპს

მისამართი - ეგნატე ნინოშვილის 8, 0102, თბილისი

მთავარი ღირებულება, რასაც თქვენი ორგანიზაცია ქმნის - განათლება. თავისუფლება. აზროვნება.

ორგანიზაციის საქმიანობის მოკლე აღწერა, ძირითადი მიზნები და აქტივობები - CES წარმოადგენს შემოქმედებით მედია სკოლას, რომელიც სპეციალიზებულია მუსიკასა და დიზაინში, ის დაინტერესებულ ადამიანებს სთავაზობს მრავალ ინოვაციურ, პრაქტიკულ, მოკლე და ხანგრძლივ სასწავლო პროგრამას. CES-ის ბაზაზე არსებობს რამდენიმე დამოუკიდებელი პლატფორმა, როგორიც არის: 1. CES Records-ქართული მუსიკალური გამომცემლობა, რომელიც მიზნად ისახავს CES-ის კურსდამთავრებულთათვის (და არა მარტო) პლატფორმის შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს მათ კარიერულ განვითარებას და პოპულარიზაციას გაუწევს საქართველოს საზღვრებს მიღმა. 2. ქართული მუსიკალური მემკვიდრეობა - vinyl only მუსიკალური ლეიბლი, რომელიც ყოველ წელს 4 გამოცემას უშვებს და ფარავს დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში შექმნილ მუსიკას. 3. Dancing On Architecture - CES-ის სტუდენტების ინიციატივით შექმნილი დამოუკიდებელი ონლაინ საგამომცემლო პლატფორმა, რომელიც საქართველოში მუსიკალური ინდუსტრიის განვითარების მოტივაციით შეიქმნა.

შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორებიდან, რა მიმართულებებით მუშაობს თქვენი ორგანიზაცია? – მუსიკა, სახელოვნებო და კულტურის განათლება, კულტურული მემკვიდრეობა

2022 წლის მანძილზე გამართული პროექტების, ღონისძიებების, საგანმანათლებლო კურსების, ტრეინინგების და სხვა აქტივობების რაოდენობა –

2022 წლის მანძილზე ჩატარდა 50-მდე საგანმანათლებლო კურსი, 10-მდე თავისუფალი ვორკშოპი, გამოქვეყნდა 19 მუსიკალური გამოცემა. გაიმართა 20-მდე მუსიკალური შეკრება/ღონისძიება და 4 საქველმოქმედო მუსიკალური “Gathering”.

2022 წლის მანძილზე ორგანიზაციის აქტივობებში ჩართული აუდიტორიის ჯამური რაოდენობა –

სტუდენტების რაოდენობამ 400-ს მიაღწია, ხოლო საერთო ჯამში რთულია იმის განსაზღვრა, თუ რამდენი ადამიანი დაესწრო CES-ის ღონისძიებებს, რადგანაც, როგორც წესი, ეს ღონისძიებები ტარდება საჯარო სივრცეში, ფაბრიკაში, ისტრიმება ონლაინ, გადის რადიოში. ასევე CES-ის მუსიკალური გამოცემები მისაწვდომია ყველა ციფრულ პლატფორმაზე, ამიტომ შეუძლებელია ჩვენი აუდიტორიის სრული რაოდენობის მოკვლევა.

2022 წლის დასაქმების მაჩვენებლები –

მუდმივად დასაქმებულთა რაოდენობა - 15
დროებით დასაქმებულთა რაოდენობა - 15

ორგანიზაციის ფინანსური შემოსავლის პროცენტული განაწილება –

კომერციულის/სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი 100%.

2. გორელ ფოტოგრაფთა კლუბი

ორგანიზაციის დასახელება – გორელ ფოტოგრაფთა კლუბი

ორგანიზაციის იურიდიული ფორმა – ააიპ

მისამართი – გურამიშვილის #5, გორი, საქართველო

მთავარი ღირებულება, რასაც თქვენი ორგანიზაცია ქმნის – შემოქმედებითი ინდუსტრიის განვითარება და დეცენტრალიზაცია

ორგანიზაციის საქმიანობის მოკლე აღწერა, ძირითადი მიზნები და აქტივობები – ორგანიზაციის საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს თანამედროვე ხელოვნების, არაფორმალური განათლებისა და ახალგაზრდათა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. 2016 წლიდან დღემდე ორგანიზაცია ახორცელებს პროექტს - „art house - ხელოვნების სახლი“. პროექტის ფარგლებში წარმოებულ იქნა ადვოკატირების კამპანია, რომლის შედეგადაც ქალაქ გორის ტერიტორიაზე, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაზიანებული შენობა უზუფრუქტის წესით გადმოეცა გორელ ფოტოგრაფთა კლუბს. შენობა ქალაქის ცენტრში მდებარეობს და ნაგავსაყრელად გამოიყენებოდა. კლუბის საკუთრებაში გადმოცემის შემდეგ შენობა მოხალისეობრივად, ადგილობრივ მო-სახლეობასთან ერთად დასუფთავდა და ნაწილობრივ რეაბილიტირდა. ხელოვნების სახლში განთავსდა არაფორმალური განათლებისა და ხელოვნების ცენტრი, რომელიც აერთიანებს მუდმივმოქმედ საგამოფენო სივრცეს, არტ სტუდიას და დარბაზს/საგნმანათლებლო სივრცეს საჯარო შეხვედრებისთვის, სადაც ახალგაზრდებს შესა-ძლებლობა აქვთ დაესწრონ ლექციებს თანამედროვე ხელოვნების შესახებ, მონა-წილეობა მიიღონ სემინარებში, კონკურსებსა და გამოფენებში, შექმნან ინტერესთა კლუბები.

2021 წელს გაიხსნა **ხელოვნების სახლი** რომლის ფარგლებშიც განხორ-ციელდა არაერთი პროექტი, მათ შორის:

1. ხუთი გამოფენა, “19 კითხვა” “ალტერ-SPACE” “VA[A]DS სტუდენტების გამოფენა” “ნიკო კალანდაძე - ფოტოგამოფენა” “ციფრული წარსული”
2. ორი წიგნის გამოცემა
3. ხუთი საჯარო ლექცია - ლევან ბერძენიშვილი, დავით ტურაშვილი, ნათელა გრი-გალაშვილი, გურამ წიბახაშვილი, გოგა აფციაური.
4. ალტერ - SPACE - რომლის ფარგლებშიც 50-მდე ახალგაზრდამ შეისწავლა ფოტო-გრაფია, მულტიმედია ჟურნალისტიკა და ადამიანის უფლებები დოკუმენტური ფილმებით.

შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორებიდან, რა მიმართულებებით მუშაობს თქვენი ორგანიზაცია? – სახელოვნებო და კულტურის განათლება; კულტურული მემკვიდრეობა; ციფრული ტექნოლოგიების ინდუსტრია; კინო და ვი-დეო; მედია და მაუწყებლობა;

2022 წლის მანძილზე გამართული პროექტების, ღონისძიებების, საგანმანათლებლო კურსების, ტრეინინგების და სხვა აქტივობების რაოდენობა – 2022 წელს ორგანიზაციამ განახორციელა რამდენიმე პროექტი და 50-მდე ღონისძიება. მათ შორის კინოჩვენებები, ფოტოჩვენებები, ინსტალაციები, საჯარო ლექციები, საგანმანათლებლო აქტივობები. გორის მუნიციპალიტეტის მე-რიის თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა პროექტი ART HOUSE 2022; რომლის ფარგლებშიც გაიმართა 4 გამოფენა, ქალაქის სხვადასხვა უბანში შეიქმნა 4 მონუმენტური მხატვრობის ნიმუში, გაიმართა ფოტოგრაფიის უფასო კურსი 20 ახალგაზრდისთვის, გამოიცა გორის მუნიციპალიტეტის კულტუ-რული მემკვიდრეობის ძეგლების ფოტოკატალოგი და შეიქმნა ვებ პორტალი, სა-დაც განთავსებულია 300-მდე ძეგლის ფოტო და ვიდეო მასალა.

2022 წლის მანძილზე ორგანიზაციის აქტივობებში ჩართული აუდიტორიის ჯამური რაოდენობა – წლის მანძილზე აქტივობებს ჰყავდა 5000-მდე პირდაპირი და 15,000 არაპირდაპირი ბენეფიციარი.

2022 წლის დასაქმების მაჩვენებლები -

მუდმივად დასაქმებულთა რაოდენობა - 3

დროებით დასაქმებულთა რაოდენობა - 8

ორგანიზაციის ფინანსური შემოსავლის პროცენტული განაწილება-

კომერციული/სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი -10%;

ადგილო-ბრივი მუნიციპალიტეტის დაფინანსება - 50%;

საერთაშორისო დონორე-ბისგან და ორგანიზაციებისგან მიღებული დაფინანსება -20%;

ქრაუდფანდინგი/დონაცია - 10%;

თვითდაფინანსება-10%

3. ბიბლიოთეკა საქართველოზე

ორგანიზაციის დასახელება – ბიბლიოთეკა საქართველოზე, თბილისის სოციალური კვლევების სკოლა.

ორგანიზაციის იურიდიული ფორმა – ააიპ

მისამართი – ვაჟა-ფშაველას 43, თბილისი

მთავარი ღირებულება, რასაც თქვენი ორგანიზაცია ქმნის – მულტიდისციპლინარული სივრცე მტკიცებაზე დაფუძნებული კვლევებისა და ინოვაციური მიდგომებისათვის. განათლება, კოვორკინგი, საგამომცემლო საქმიანობა.

ორგანიზაციის საქმიანობის მოკლე აღწერა, ძირითადი მიზნები და აქტივობები – ბიბლიოთეკა საქართველოზე - ახორციელებს საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობას სოციოლოგიის, კულტურის, არქიტექტურის და ურბანიზმის მიმართულებით. ბიბლიოთეკის სივრცე მუშაობს, როგორც დამოუკიდებელი ბიბლიოთეკა, საგამოფენო სივრცე, და ასევე როგორც საერთო სამუშაო სივრცე არტისტებისთვის და მკვლევრებისთვის.

შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორებიდან, რა მიმართულებებით მუშაობს თქვენი ორგანიზაცია? – არქიტექტურა, სახელოვნებო და კულტურის განათლება, ლიტერატურა და საგამომცემლო ინდუსტრია.

2022 წლის მანძილზე გამართული პროექტების, ღონისძიებების, საგანმანათლებლო კურსების, ტრეინინგების და სხვა აქტივობების რაოდენობა – 4 რეგიონული (მესტია, ზუგდიდი, ფოთი, ბათუმი) კონფერენცია, 3 კონფერენცია თბილისში, 20 ვორკშოპი არქიტექტურის და ურბანიზმის დარგში, 20 ვორკშოპი კონფლიქტების მოგვარების დარგში, 30 კინოჩვენება, 10 საჯარო ლექცია.

2022 წლის მანძილზე ორგანიზაციის აქტივობებში ჩართული აუდიტორიის ჯამური რაოდენობა – 200-300 ადამიანი

2022 წლის დასაქმების მაჩვენებლები –

მუდმივად დასაქმებულთა რაოდენობა- 2
დროებით დასაქმებულთა რაოდენობა -1

ორგანიზაციის ფინანსური შემოსავლის პროცენტული განაწილება –

კომერციული/სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი -10%
ქრაუდფანდინგი/დონაცია - 70%
თვითდაფინანსება - 20%

4.
ბრავო არტ აკადემია

ორგანიზაციის დასახელება – ბრავო არტ აკადემია

ორგანიზაციის იურიდიული ფორმა – შპს

მისამართი – ქ. რუსთავი. რუსთაველის ქუჩა #30ა

მთავარი ღირებულება, რასაც თქვენი ორგანიზაცია ქმნის – ჩვენ გვწამს, რომ ყველას შეუძლია იყოს შემოქმედი, ამიტომ ყველას შეუძლია სცადოს. ჩვენ ვქმნით შესაძლებლობას საკუთარ თავში ხელოვანის აღმოსაჩენად.

ორგანიზაციის საქმიანობის მოკლე აღწერა, ძირითადი მიზნები და აქტივობები – ბრავო არტ აკადემიის საქმიანობა მოიცავს ორ ძირითად მიმართულებას, ესაა ახალგაზრდული თეატრი და სახელოვნებო სკოლა. ორგანიზაციის მიზანია მოზარდების და ახალგაზრდების შემოქმედებითი თვითგამოხატვის მხარდაჭერა და მათი შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ყველა აქტივობა:

- სპექტაკლების დადგმა მოყვარული ახალგაზრდა მსახიობების მონაწილეობით;
- ფასო მასტერკლასების ორგანიზება ბრავოს სახელოვნებო სკოლის სტუდენტებისთვის.
- ქორეოგრაფიული და მუსიკალური კონცერტების, გამოფენების მოწყობა მოზარდების მონაწილეობით.

შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორებიდან, რა მიმართულებებით მუშაობს თქვენი ორგანიზაცია? –სახელოვნებო და კულტურის განათლება, სახვითი და საშემსრულებლო ხელოვნება.

2022 წლის მანძილზე გამართული პროექტების, ღონისძიებების, საგანმანათლებლო კურსების, ტრეინინგების და სხვა აქტივობების რაოდენობა – სპექტაკლი - 30, მასტერკლასი - 10, კონცერტი - 5

2022 წლის მანძილზე ორგანიზაციის აქტივობებში ჩართული აუდიტორიის ჯამური რაოდენობა – 2800-3000 ადამიანი

2022 წლის დასაქმების მაჩვენებლები –

მუდმივად დასაქმებულთა რაოდენობა - 16
დროებით დასაქმებულთა რაოდენობა - 30

ორგანიზაციის ფინანსური შემოსავლის პროცენტული განაწილება –

კომერციული/სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი - 60%
საერთაშორისო დონორებისგან და ორგანიზაციებისგან მიღებული დაფინანსება - 10%
ქრაუდფანდინგი/დონაცია - 10%
საბანკო სესხი/საკრედიტო ხაზი - 20%

5. უდაბნო

ორგანიზაციის დასახელება – უდაბნო

ორგანიზაციის იურიდიული ფორმა – შპს

მისამართი – 26 მაისის მოედანი, 0171, თბილისი, საქართველო

მთავარი ღირებულება, რასაც თქვენი ორგანიზაცია ქმნის – უდაბნოს მეურნეობა 2022 წელს სრულად ორგანულ მიდგომებზე გადავიდა. დღემდე უდაბნო ამუშავებს რეგენერაციული აგროკულტურის მოდელებს, რომლებიც დაეხმარება ნიადაგის გამდიდრებას, ეკოსისტემის ჰარმონიზაციას და ბიოდივერსიფიცირებას. უდაბნო ასრულებს მნიშვნელოვან როლს მიწის გაუდაბნოებასთან ბრძოლის პროცესში და ნერგავს საქართველოში თანამედროვე, მაღალეფექტიან და მდგრად სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკას.

ორგანიზაციის საქმიანობის მოკლე აღწერა, ძირითადი მიზნები და აქტივობები – უდაბნო ახორციელებს აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონის ერთ-ერთ უმსხვილეს სასოფლო-სამეურნეო პროექტს.

ნუშის ბაღები, ვენახები, ცხოველთა ფერმები და საყოფაცხოვრებო-სამეურნეო სოფელი პანდორა – აყალიბებს სოფლის მეურნეობის ახალ სტანდარტებს. პანდორაში შეიქმენება სამეწარმეო ინფრასტრუქტურაც. თიხის, ხის, ქაღალდის, ქსოვილის საწარმოები, რაც უამრავ დასაქმების შესაძლებლობას შექმნის. ასევე მრავალი კვების ობიექტი, რომელიც, რა თქმა უნდა, უდაბნოში მოყვანილი ორგანული პროდუქტით იქნება მომარაგებული. უდაბნო ჯგუფი აქტიურად ავითარებს მწვანე ენერგიის მიმართულებას მთელი პროექტის მასშტაბით.

შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორებიდან, რა მიმართულებებით მუშაობს თქვენი ორგანიზაცია? – რეწვა, სახელოვნებო და კულტურის განათლება, კინო და ვიდეო, მუსიკა, სახვითი და საშემსრულებლო ხელოვნება, გასტრონომია და კულინარიული ინდუსტრია.

2022 წლის დასაქმების მაჩვენებლები:

მუდმივად დასაქმებულთა რაოდენობა - 150
დროებით დასაქმებულთა რაოდენობა - 600-700

ორგანიზაციის ფინანსური შემოსავლის პროცენტული განაწილება –

კომერციული/სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი -10%
თვითდაფინანსება - 90%

6. Propaganda

ორგანიზაციის დასახელება – Propaganda

ორგანიზაციის იურიდიული ფორმა – ააიპ

მისამართი – პეკინის გამზირი 39, თბილისი

მთავარი ღირებულება, რასაც თქვენი ორგანიზაცია ქმნის – პროპაგანდა აქტიურად ეწევა ქართული თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაციას როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო მასშტაბით. ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვანია სახელოვნებო, კვლევითი და საგანმანათლებო მიმართულებების განვითარება, რომელიც მკაფიოდ დაფუძნებულია გაზიარების პრინციპსა და სხვადასხვა ტიპის თანამშრომლობაზე.

ორგანიზაციის საქმიანობის მოკლე აღწერა, ძირითადი მიზნები და აქტივობები – პროპაგანდა შემდეგი მიმართულებების ფარგლებში ცდილობს საკუთარი წვლილი შეიტანოს თანამედროვე ხელოვნების განვითარებაში, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ: საერთაშორისო რეზიდენციები, კოლექტიური სტუდიო, სახელოსნოები, OXYGEN ბიენალე, პროექტები, კვლევა და განათლება, ხმოვანი ხელოვნების ლაბორატორია.

- რეზიდენციების პროგრამა მოიცავს შემოქმედებით და კვლევით განხრებს. პროპაგანდა მასპინძლობს ხელოვანებსა და მკვლევრებს ან კურატორებს სხვადასხვა ქვეყნიდან და ინსტიტუციიდან.
- კოლექტიური სტუდიოს იდეა დაფუძნებულია ადგილობრივი სცენის წარმომადგენლების მხარდაჭერაზე და გულისხმობს მათთვის სამუშაო სივრცეების დროებით დათმობას.
- სახელოსნოებში მოიაზრება Neon Workshop, რომელზეც პროპაგანდა დანიელ არტისტთან ერთად მუშაობს.

- OXYGEN, 2018 წლიდან, აჭარა ჯგუფთან პარტნიორობით ხორციელდება და საქართველოში თანამედროვე ხელოვნების ერთ-ერთი მთავარი მასშტაბური ღონისძიებაა. 2021 წლიდან OXYGEN ბიენალედ გარდაიქმნა და გრძელვადიან, კვლევაზე ორიენტირებულ თანამონაწილეობით პლატფორმას ავითარებს. სახელოვნებო პრაქტიკების სინთეზური გააზრებით OXYGEN შემოქმედებითი პროცესების გაფართოებასა და ღია თანამშრომლობითი მოდელების შექმნისკენ ისწრაფვის.
- „პროექტების“ ფარგლებში პროპაგანდა მხარს უჭერს საინიციატივო ჯგუფების, ინდივიდუალურ შემოქმედ პროფესიონალთა და ორგანიზაციების მიერ ინიცირებულ პროექტებს. 2017 წლიდან, პროგრამის ფარგლებში პროპაგანდა პერიოდულად აცხადებს კონკურსს. საკონკურსო კომისია შედგება როგორც ორგანიზაციის თანამშრომლებისგან, ისე მოწვეული ექსპერტებისაგან. საკონკურსო პროგრამის პარალელურად, შესაძლებლობის ფარგლებში, პროპაგანდა მხარს უჭერს განაცხადის საფუძველზე წარმოდგენილ ან საკუთარსავე ინიციირებულ პროექტებსაც.
- პროპაგანდა საზღვრავს მიზნებსა და შესაბამის ამოცანებს კვლევებსა და კონტექსტის ანალიზზე დაფუძნებით. ამასთან, ორგანიზაცია აქტიურად არის ჩართული უშუალოდ დარგობრივი კვლევისა და განათლების პროცესში. პროპაგანდას დამფუძნებელმა საინიციატივო ჯგუფმა, ჯერ კიდევ 2013 წელს დაიწყო „თანამედროვე ხელოვნების ონლაინ არქივის“ პროექტზე მუშაობა, რომელმაც სისტემური სახე 2017 წელს მიიღო. აღნიშნული მდგომარეობით, „თანამედროვე ხელოვნების არქივი“ აერთიანებს 179 ხელოვანის პორტფოლიოს (5448 ნამუშევარი), ტელევიზია Artarea 2.0.-თან თანამშრომლობით შექმნილ 12 ვიდეოინტერვიუს, უკანასკნელი 5 დეკადის კრიტიკულ მონოგრაფიასა და 8 პირის კერძო არქივს.
- ხელოვანებთან თანამშრომლობით, პროპაგანდა, ასევე, აორგანიზებს კრიტიკისა და თეორიის ჯგუფს, რომელიც არაფორმალურ, ექსპერიმენტული საგანმანათლებლო პროგრამას წარმოადგენს.
- ხმოვანი ხელოვნების ლაბორატორიის პროგრამა აერთიანებს სახელოსნოს, სადაც მუსიკოსებს აქვთ იმპროვიზაციის, რესურსების გაცვლისა და კვლევის მუდმივი საშუალება.

შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორებიდან, რა მიმართულებებით მუშაობს თქვენი ორგანიზაცია? – სახელოვნებო და კულტურის განათლება, სახვითი და საშემსრულებლო ხელოვნება.

2022 წლის მანძილზე გამართული პროექტების, ღონისძიებების, საგანმანათლებლო კურსების, ტრეინინგების და სხვა აქტივობების რაოდენობა -

თანამშრომლობითი გამოფენა - 6;
არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამა - 1;
გაცვლითი პროგრამა - 1;
რეზიდენტები - ხელოვანები - 5 მკვლევრები - 1

2022 წლის მანძილზე ორგანიზაციის აქტივობებში ჩართული აუდიტორიის ჯამური რაოდენობა -

დაახლოებით 1000 ადამიანი

2022 წლის დასაქმების მაჩვენებლები -

მუდმივად დასაქმებულთა რაოდენობა - 6
დროებით დასაქმებულთა რაოდენობა - 5

ორგანიზაციის ფინანსური შემოსავლის პროცენტული განაწილება -

ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაფინანსება -10%
ცენტრალური ხელისუფლების დაფინანსება - 10%
საერთაშორისო დონორებისგან და ორგანიზაციებისგან მიღებული დაფინანსება - 20%
თვითდაფინანსება - 60%

7. თანამედროვე ხელოვნების ცენტრი-თბილისი

ორგანიზაციის დასახელება – თანამედროვე ხელოვნების ცენტრი-თბილისი

ორგანიზაციის იურიდიული ფორმა – ააიპ

მისამართი – დოდო აბაშიძის 10, თბილისი

მთავარი ღირებულება, რასაც თქვენი ორგანიზაცია ქმნის – თანამედროვე ხელოვნების ცენტრის უმთავრეს ღირებულებას წარმოადგენს მისი არაფორმალურობა (comunitybased), ადამიანების მრავალფეროვნება, ასევე, მუდმივი მუშაობა და მზადყოფნა ახალგაზრდა ადამიანების დახმარებაზე - განათლებაზე ხელმისაწვდომობასა და მათი ინიციატივების განვითარებაში. ორგანიზაციისთვის პრიორიტეტულია ეკოლოგიასთან დაკავშირებული საკითხების დაცვა და მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს სხვადასხვა სოციალურ ჯგუფში და რეგიონებში როგორც პიროვნების ეკოლოგიის, ასევე გარემოს ეკოლოგიის და მიკროკლიმატის შექმნას.

ორგანიზაციის საქმიანობის მოკლე აღწერა, ძირითადი მიზნები და აქტივობები – თანამედროვე ხელოვნების ცენტრი 2010 წლიდან ფუნქციონირებს. მის უმთავრეს ფოკუსს თავიდანვე გარდა საგამოფენო პრაქტიკისა, წარმაოდგენდა არაფორმალური საგანამანთლებლო პლატფორმა-შემოქმედებითი მედიაცია, რომელიც უნიკალური ადგილობრივი გამოწვევების შესაბამისად შეიქმნა და ახლგაზრდებს აძლევს საშუალებას თავიანთი შემოქმედება მიმართონ სოციალური კონტექსტის, ტრანსფორმაციის და განვითარებისკენ (ყოფილი სტუდენტების ინიციატივების მცირე ჩამონათვალი: ქართული ვიდეო ხლეოვნების არქივი, პარალელური კლასი, მდგომარეობათა შორის, ვაი ნოთ გალერი, სად არის მელია, კირკე და ა.შ) . ამჟამად თანამედროვე ხლეოვნების ცენტრი აქტიურად მუშაობს ხელოვნებისა და ინოვაციების

ჰაბის ჩამოყალიბებაზე, რომელშიც არაერთი ინიციატივა და პლატფორმა გაერთიანდება(ფუტუროლოგია, ბიო მეურნეობა, რეწვა და ა.შ).

შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორებიდან, რა მიმართულებებით მუშაობს თქვენი ორგანიზაცია? - სახელოვნებო და კულტურის განათლება, სახვითი და საშემსრულებლო ხელოვნება.

2022 წლის მანძილზე გამართული პროექტების, ლონისძიებების, საგანმანათლებლო კურსების, ტრეინინგების და სხვა აქტივობების რაოდენობა – 1. შემოქმედებითი მედიაცია-არაფორმალური საგანამანათლებლო 3 თვიანი კურსი, რომელიც ორიენტირებულია შემოქმედი ადამიანების პოტენციალის საზოგადოებრივ კონტექსტთან თანხვედრაზე, სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისკენ მიმართვაზე, აქტუალური,რელაური საკითხების დაყენებასა და გადაჭრაზე. კურსში მონაწილეობდა 16 ახალგაზრდა .

2. თბილისის მე-4 საერთაშორისო ტრიენალე, რომელიც მიმართულია განათლების საკითხებზე და უმასპინძლა 40 მდე სხვადასხვა მხატვარსა თუ ინიციატივას მსოფლიოს მასშტაბით და ადგილობრივად. ტრიენალე გრძელდებოდა 1 თვეს და მის ფარგლებში გაიმართა 10-მდე სხვადასხვა სახის პრაქტიკული თუ თეორიული ვორქშოპი, რომელშიც 50-მდე დაინტერესებულმა პირმა მიიღო უშუალო მონაწილეობა, ხოლო ტრიენალეს დაესწრო 1000-ზე მეტი ადამაინი.

2022 წლის მანძილზე ორგანიზაციის აქტივობებში ჩართული აუდიტორიის ჯამური რაოდენობა – 5000 ადამიანი

2022 წლის დასაქმების მაჩვენებლები –

მუდმივად დასაქმებულთა რაოდენობა - 4
დროებით დასაქმებულთა რაოდენობა - 30

ორგანიზაციის ფინანსური შემოსავლის პროცენტული განაწილება –

ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაფინანსება - 50%
საერთაშორისო დონორებისგან და ორგანიზაციებისგან მიღებული დაფინანსება - 30%
ქრაუდფანდინგი/დონაცია - 10%
თვითდაფინანსება - 10%

8. Fabrika Tbilisi

ორგანიზაციის დასახელება – Fabrika Tbilisi

ორგანიზაციის იურიდიული ფორმა – სს

მისამართი – ეგნატე ნინოშვილის 8, თბილისი

მთავარი ღირებულება, რასაც თქვენი ორგანიზაცია ქმნის – სივრცე შექმნისა და გაზიარებისთვის.

ორგანიზაციის საქმიანობის მოკლე აღწერა – ძირითადი მიზნები და აქტივობები - კულტურული ცენტრი, რომელიც აერთიანებს შემოქმედებითი ინდუსტრიის სხვადასხვა წარმომადგენლებს - მაღაზია-სახელოსნოებს, კაფე-ბარებს, ერთიან სამუშაო სივრცეს, შემოქმედებით სკოლას, ოფისებს შემოქმედებით ინდუსტრიაში მოღვაწე კომპანიებისთვის, ღონისძიებების სივრცეებს და ასევე, ჰოსტელს.

შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორებიდან, რა მიმართულებებით მუშაობს თქვენი ორგანიზაცია? – არქიტექტურა, სახელოვნებო და კულტურის განათლება, კულტურული მემკვიდრეობა, ციფრული ტექნოლოგიების ინდუსტრია, კინო და ვიდეო, მუსიკა, სახვითი და საშემსრულებლო ხელოვნება, გასტრონომია და კულინარიული ინდუსტრია.

2022 წლის მანძილზე გამართული პროექტების, ღონისძიებების, საგანმანათლებლო კურსების, ტრეინინგების და სხვა აქტივობების რაოდენობა – დაახლოებით 500

2022 წლის მანძილზე ორგანიზაციის აქტივობებში ჩართული აუდიტორიის ჯამური რაოდენობა – ჩვენი ცენტრის ვიზიტორი - დაახლეობით 400 000

2022 წლის დასაქმების მაჩვენებლები – მუდმივად დასაქმებულთა რაოდენობა - 500-ზე მეტი

ორგანიზაციის ფინანსური შემოსავლის პროცენტული განაწილება –

კომერციული/სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი - 100%

9.
D Block

ორგანიზაციის დასახელება - D Block

ორგანიზაციის იურიდიული ფორმა - შპს

მისამართი - მ. კოსტავას 14, თბილისი, 0108, საქართველო

მთავარი ღირებულება, რასაც თქვენი ორგანიზაცია ქმნის – კომპანიის მთავარი ღირებულებაა შექმნას დემოკრატიული, გაზიარებული ეკონომიკის პრინციპზე დაფუძნებული დაწესებულებები. ჩვენი ობიექტები მორგებული იქნება ეკოსისტემის წევრებსა და ადგილობრივი კონტექსტის სპეციფიკას როგორც კულტურული, ასევე კომერციული კუთხით.

ორგანიზაციის საქმიანობის მოკლე აღწერა, ძირითადი მიზნები და აქტივობები – კომპანია D Block, აჭარა ჯგუფის ახალი მიმართულებაა, რაც გულისხმობს საერთო სამუშაო სივრცეებს - სტარტაპების, ინვესტორების, კულტურის პროფესიონალების, განათლებისა და ახალი ცოდნების მზარდ ქსელს.

D Block მოიცავს სხვადასხვა ტიპის ოფისებს, შეხვედრების ოთახებს, სოციალურ სივრცეებს, საწევრო აპლიკაციებს, ღონისძიებებსა და პროგრამებს ახალი კავშირების დასამყარებლად.

D Block ოპერირებას 2023 წლის 5 ივნისიდან დაიწყებს.

ორგანიზაციის ფინანსური შემოსავლის პროცენტული განაწილება –

კომერციული/სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი - 100%

10.
ღია სივრცე | ვიზუალური და საშემსრულებლო ხელოვნების ცენტრი

ორგანიზაციის დასახელება – ღია სივრცე | ვიზუალური და საშემსრულებლო ხელოვნების ცენტრი

ორგანიზაციის იურიდიული ფორმა – ააიპ

მისამართი – ბერი გაბრიელ სალოსის გამზ. 1-ელი შესახვევი, #2, თბილისი

მთავარი ღირებულება, რასაც თქვენი ორგანიზაცია ქმნის – ღია სივრცე | ვიზუალური და საშემსრულებლო ხელოვნების ცენტრი, ქალაქის ცენტრიდან მოშორებით ავითარებს მულტიმედიურ სახელოვნებო პროცესებს და ქმნის გაზიარების სივრცეს არტისტებისა და საზოგადოებისთვის, რომელიც ექსპერიმენტული ხელოვნებითაა დაინტერესებული. ღია სივრცისთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი, ხელოვნებაში ექსპერიმენტების გვერდით, არის საზოგადოების ყველა წევრისთვის ინკლუზიური და თანაბარი გარემოს შექმნა.

ორგანიზაციის საქმიანობის მოკლე აღწერა, ძირითადი მიზნები და აქტივობები – ღია სივრცე | ვიზუალური და საშემსრულებლო ხელოვნების ცენტრი, რომელიც 2016 წელს დაარსდა, თბილისში, ყოფილ ელექტროძრავების ქარხანაში მდებარეობს. ღია სივრცე არის ერთ-ერთი პირველი სრულიად დამოუკიდებელი მრავალფუნქციური ხელოვნების ცენტრი საქართველოში, რომელიც მიზნად ისახავს შექმნას და განავითაროს მულტიმედიური ხელოვნება და მის ირგვლივ სადისკუსიო სივრცე. ცენტრის წლიური პროგრამა შედგება დროებითი გამოფენების, პერფორმანსების, სპექტაკლების, მუსიკალური ღონისძიებებისა და დისკუსიებისგან.

ცენტრი მხარს უჭერს ექსპერიმენტულ ხელოვნებასა და თეატრს და აძლევს ხელოვანებს შესაძლებლობას განივითარონ პროფესიული უნარები, გამოხატონ საკუთარი თავი და ითანამშრომლონ ერთმანეთთან, შექმნან გარემო შემოქმედებითი თავისუფლებისთვის და ეძებონ ახალი ფორმები.

ღია სივრცე არის სოციალური და კულტურული გადაკვეთების ადგილი, სადაც, ერთი მხრივ, ხელოვნების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები თანამშრომლობენ და, მეორე მხრივ, ფართო საზოგადოებას შეუძლია დააკვირდეს, თუ რას ქმნის ეს თანამშრომლობები და ძიებები თანამედროვე ხელოვნებაში.

ცენტრის წლიური პროგრამა მრავალფეროვანია: დროებით გამოფენებში, სპექტაკლებში, პერფორმანსებში, მუსიკალურ ღონისძიებებსა და დისკუსიებში საზოგადოებას შეუძლია დააკვირდეს სხვადასხვა აქტუალურ სოციალურ და პოლიტიკურ საკითხს თანამედროვე ხელოვნების პერსპექტივიდან.

სივრცის მდებარეობა სტრატეგიულია და მიზნად ისახავს გარეუბანში შემოქმედებითი, კულტურული პროცესების განვითარებას, რაც ხელს უწყობს ქალაქის დეცენტრალიზებასაც.

შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორებიდან, რა მიმართულებებით მუშაობს თქვენი ორგანიზაცია? – სახელოვნებო და კულტურის განათლება, მუსიკა, სახვითი და საშემსრულებლო ხელოვნება.

2022 წლის მანძილზე გამართული პროექტების, ღონისძიებების, საგანმანათლებლო კურსების, ტრეინინგების და სხვა აქტივობების რაოდენობა – სპექტაკლი - 20; გამოფენა - 3; დისკუსიების ციკლი: ლაპარაკი ღია სივრცეში - 2, კინოჩვენება -2; სახელოსნო - ისარგებლა 4-მა არტისტმა. დოკუმენტური თეატრის ვორქშოპი - მონაწილეობდა 4 სომეხი და აზერბაიჯანელი რეჟისორი და დრამატურგი; სამხრეთ კავკასიის დოკუმენტური თეატრის ქსელი - 4-წლიანი პროექტი, რომელიც შვეიცარიის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით ხორციელდება ღია სივრცის მიერ და ქმნის დოკუმენტური თეატრის 2 ჯგუფს სომხეთსა და აზერბაიჯანში (მონაწილეობს 20-მდე ადამიანი, ორივე ქვეყნიდან).

2022 წლის მანძილზე ორგანიზაციის აქტივობებში ჩართული აუდიტორიის ჯამური რაოდენობა – 5000-მდე ადამიანი

2022 წლის დასაქმების მაჩვენებლები –
მუდმივად დასაქმებულთა რაოდენობა - 8
დროებით დასაქმებულთა რაოდენობა - 22

ორგანიზაციის ფინანსური შემოსავლის პროცენტული განაწილება –
კომერციული/სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი-10%, საერთაშორისო დონორებისგან და ორგანიზაციებისგან მიღებული დაფინანსება - 90%

11.
კუბი კონტექსტში

ორგანიზაციის დასახელება – კუბი კონტექსტში

ორგანიზაციის იურიდიული ფორმა – ააიპ

მისამართი – თბილისი, მზიურის პარკი, ნაგებობა 5

მთავარი ღირებულება, რასაც თქვენი ორგანიზაცია ქმნის – ჩვენ ვაერთიანებთ განსხვავებული ჯგუფების ადამიანებს ხელოვნების ირგვლივ და ხელს ვუწყობთ მათ შორის დიალოგის განვითარებას.

ორგანიზაციის საქმიანობის მოკლე აღწერა, ძირითადი მიზნები და აქტივობები – სოციალური საწარმო "კუბი კონტექსტში" შემოქმედებითი სივრცეა, რომელიც მოიცავს თანამედროვე ხელოვნების გალერეას, კულტურულ მედიათეკას და არაფორმალური განათლების პლატფორმას. ორგანიზაციის ძირითადი მიზანია განსხვავებული ასაკის, შესაძლებლობების, ინტერესებისა და გამოცდილების მქონე ადამიანების სახელოვნებო პროცესების ირგვლივ გაერთიანება, მათთვის თანაბარი გარემოს შეთავაზება, შემოქმედებითად თვითრეალიზებისა და განვითარების ხელშეწყობა. მხატვრებთან და კულტურის სფეროს სხვა წარმომადგენლებთან თანამშრომლობის წარმატებული მაგალითების შექმნა... ძირითადი პროგრამის - გამოფენების, ვორქშოპების, ტრენინგების მიღმა, ორგანიზაციას აქვს საერთო სამუშაო ადგილი, რომლით სარგებლობაც 11:00-დან - 20:00 საათამდე პერიოდში, ნებისმიერ სტუმარს თავისუფლად შეუძლია - პატარა არტისტული ყავის წერტილი და რამდენიმე კლუბი: "თავისუფალი კინოჩვენებების კლუბი", "ახალი თაობის ფოტოგრაფთა კლუბი", "ილუსტრატორების კლუბი", "უფროსი თაობის ადამიანების კლუბი", "საბავშვო ცოდნის კლუბი".

სივრცეში ტარდება გამოფენები, კინოჩვენებები, ლექციები, მუსიკალური საღამოები, დაიწყო ჩრდილების თეატრის დასის ჩამოყალიბება და რეპეტიციები.

შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორებიდან, რა მიმართულებებით მუშაობს თქვენი ორგანიზაცია? – სახელოვნებო და კულტურის განათლება, კინო და ვიდეო, ლიტერატურა და საგამომცემლო ინდუსტრია, სახვითი და საშემსრულებლო ხელოვნება.

2022 წლის მანძილზე გამართული პროექტების, ღონისძიებების, საგანმანათლებლო კურსების, ტრეინინგების და სხვა აქტივობების რაოდენობა – გამოფენები - 11; კინოჩვენებები - 15; ვორკშოპები - 17; ტრენინგები - 5; ლექციები -7; მუსიკალური საღამოები - 2; პრეზენტაციები - 5; ფესტივალი - 3; "ფლიმარკეტი" - 1; პერფორმანსი - 3

2022 წლის მანძილზე ორგანიზაციის აქტივობებში ჩართული აუდიტორიის ჯამური რაოდენობა – 5000 ადამიანამდე

2022 წლის დასაქმების მაჩვენებლები – მუდმივად დასაქმებულთა რაოდენობა - ჩვენი სამუშაო პრინციპი მნიშვნელოვანი რგოლების მნიშვნელოვან რგოლებთან დაკავშირებაზე დგას. მუდმივად დასაქმებული თანამშრომლები, ამ წუთას, არ გვყავს, თუმცა თითოეული ადამიანი ვინც გაერთიანებულია კუბის ირგვლივ უდიდესი ენთუზიაზმით და პასუხისმგებლობით ასრულებს საქმეს.

დროებით დასაქმებულთა რაოდენობა - 4

ორგანიზაციის ფინანსური შემოსავლის პროცენტული განაწილება –
კომერციული/სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი-10%
ქრაუდფანდინგი/დონაცია - 10%
თვითდაფინანსება - 10%
სხვა - (მოხალისეობრივი კონტრიბუცია)- 70%

12. თბილისის არქიტექტურის ბიენალე

ორგანიზაციის დასახელება – თბილისის არქიტექტურის ბიენალე

ორგანიზაციის იურიდიული ფორმა – ააიპ

მისამართი – თბილისი, ბელინსკის ქ. 5

მთავარი ღირებულება, რასაც თქვენი ორგანიზაცია ქმნის – არქიტექტურულ და ურბანულ სფეროში კრიტიკული დისკურსის შემოტანა და ცნობიერების ამაღლება.

ორგანიზაციის საქმიანობის მოკლე აღწერა, ძირითადი მიზნები და აქტივობები – თბილისის არქიტექტურის ბიენალე არის სხვადასხვა ტიპის აქტივობების ერთიანობა როგორიცაა გამოფენები, ვორკშოპები, ლექციები, სიმპოზიუმი, ადგილობრივი და საერთაშორისო მონაწილეების ჩართულობით.

შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორებიდან, რა მიმართულებებით მუშაობს თქვენი ორგანიზაცია? – არქიტექტურა, სახელოვნებო და კულტურის განათლება, სახვითი და საშემსრულებლო ხელოვნება.

2022 წლის მანძილზე გამართული პროექტების, ღონისძიებების, საგანმანათლებლო კურსების, ტრეინინგების და სხვა აქტივობების რაოდენობა – 2022 წლის არქიტექტურის ბიენალე ჩატარდა, რომელიც მოიცავდა 43 ღონისძიებას: გამოფენებს, ვორკშოპებს, ლექციებს და სიმპოზიუმს ადგილობრივი და საერთაშორისო მონაწილეების ჩართულობით.

2022 წლის მანძილზე ორგანიზაციის აქტივობებში ჩართული აუდიტორიის ჯამური რაოდენობა – 1000-1500

2022 წლის დასაქმების მაჩვენებლები –

მუდმივად დასაქმებულთა რაოდენობა - 6

დროებით დასაქმებულთა რაოდენობა - 15

ორგანიზაციის ფინანსური შემოსავლის პროცენტული განაწილება –

ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაფინანსება-10%

საერთაშორისო დონორებისგან და ორგანიზაციებისგან მიღებული დაფინანსება - 60%

თვითდაფინანსება - 20%

სხვა - 10%

13. ცოდნის კაფე

ორგანიზაციის დასახელება – ცოდნის კაფე

ორგანიზაციის იურიდიული ფორმა – ააიპ

მისამართი – წნორი, აღმაშენებლის ქუჩა, #3

მთავარი ღირებულება, რასაც თქვენი ორგანიზაცია ქმნის – მთავარ მიზნად რეგიონებში მცხოვრები ყველა ადამიანისთვის, განსაკუთრებით კი, ახალგაზრდებისთვის და უფროსი თაობის ადამიანებისთვის, მრავალფეროვანი და სრულფასოვანი ცხოვრების შესაძლებლობის მიცემა დავისახეთ.

დავისახეთ და ვასრულებთ კიდეც - ადამიანებს ცოდნას და გამოცდილებას ვუზიარებთ; თვითრეალიზებაში ვეხმარებით; სოციალიზაციის და დროის ნაყოფიერად გატარების საშუალებას ვაძლევთ; თუმცა, კარგად ვაცნობიერებთ, რომ დიადი მიზნის მიღწევა ერთგული თანამოაზრეების მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელია.

ორგანიზაციის საქმიანობის მოკლე აღწერა, ძირითადი მიზნები და აქტივობები – ჩვენ ცოდნის კაფე ვართ. სოციალური საწარმო, რომელიც კახეთის რეგიონში მცხოვრები ყველა ადამიანისთვის, მულტიფუნქციურ - საგანმანათლებლო, შემეცნებით და ინტერაქციულ სივრცეს აერთიანებს. ცოდნის კაფე აერთიანებს შემდეგ სივრცეებს: მულტიმედია ბიბლიოთეკა; წიგნის მაღაზია; მცირე კაფე; არტ რეზიდენცია; არაფორმალური განათლების ცენტრი; საერთო სამუშაო სივრცე.

შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორებიდან, რა მიმართულებებით მუშაობს თქვენი ორგანიზაცია? – სახელოვნებო და კულტურის განათლება, კულტურული მემკვიდრეობა, ციფრული ტექნოლოგიების ინდუსტრია, კინო და ვიდეო, გასტრონომია და კულინარიული ინდუსტრია.

2022 წლის მანძილზე გამართული პროექტების, ლონისძიებების, საგანმანათლებლო კურსების, ტრეინინგების და სხვა აქტივობების რაოდენობა – არსებობის 6 წლის მანძილზე, ცოდნის კაფემ რამდენიმე ათას ახალგაზრდას და ხანდაზმულს მისცა განათლების პროგრამებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა; ცოდნის კაფეს რომ საკუთარი სივრცე ჰქონოდა 4.200-ზე მეტმა ადამიანმა 220,000 ლარი გაიღო ცოდნის კაფეს მშენებლობისთვის; 10-მდე საერთაშორისო პარტნიორთან ერთად, შევქმენით საგანმანათლებლო პროგრამები.

2022 წლის მანძილზე ორგანიზაციის აქტივობებში ჩართული აუდიტორიის ჯამური რაოდენობა – 800 ადამიანზე მეტი

2022 წლის დასაქმების მაჩვენებლები –

მუდმივად დასაქმებულთა რაოდენობა - 4
დროებით დასაქმებულთა რაოდენობა - 6

ორგანიზაციის ფინანსური შემოსავლის პროცენტული განაწილება

კომერციული/სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი -20%
ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაფინანსება - 10%
საერთაშორისო დონორებისგან და ორგანიზაციებისგან მიღებული დაფინანსება - 30%
ქრაუდფანდინგი/დონაცია - 40% ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაფინანსება

ბროშურა მომზადებულია შემოქმედებითი საქართველოს პროექტის: „შემოქმედებითი კლასტერების განვითარების მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში.

პროექტი განხორციელდა ბრიტანეთის საბჭოს ფინანსური მხარდაჭერით.

ბროშურის მიზანია შემოქმედებითი კლასტერების ალიანსის წევრი ორგანიზაციების შესახებ საზოგადოებისთვის მოკლე ინფორმაციის მიწოდება.

პორტფოლიოზე იმუშავეს:
ელენე თოიძემ, ვახტანგ ურუშაძემ და ქეთევან ტვილდიანმა
პორტფოლიოს დიზაინი მოამზადა მარიამ კუპრაშვილმა

BRITISH COUNCIL

შემოქმედებითი საქართველო
CREATIVE GEORGIA

თბილისი, საქართველო, 2023

კომერციული/სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	20%
ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაფინანსება	10 %
საერთაშორისო დონორებისგან და ორგანიზაციებისგან მიღებული დაფინანსება	- 30%
ქრაუდფანდინგი/დონაცია	40%